ერევანში – "უნივერსიტა" კიევში– "დინამო"

ერევანსა და კიევში დამთავრდა საერთაშორისო ბლიცტურნირები ფეხბურთში.

როგორც უკვე იცით, ერევნის ტურნირის ფინალში გავიდნენ თბილისის "დინამო" და კლუჟის "უნივერსიტა" (რუმინეთი).

მატჩში, რომელიც ორმხრივი იერიშებით მიმდინარეობდა, თბილისელებს მეტოქის კარის აღების ბევრი შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ მათი ყველა ცდა ამაო გამოდგა. თამაშის მე–20 წუთზე რუმინელი ფორვარდის მუტიანუს მიერ თავით გატანილმა ერთადერთმა გოლმა მატჩის ბედი "უნივერსიტას" სასარგებლოდ გადაწყვიტა – 1:0 "უნივერსიტას" ფეხბურთელებს 1 ადგილის მოპოვებისთვის სომხეთის სსრ სპორტკომიტეტისა და ფეხბურთის ფედერაციის პრიზი გადაეცათ. მე–2 ადგილზე გავიდა თბილისის "დინამო", მე–3 –"პოლონია" (ქ. ბიტომი, პოლონეთი), მე–4– ერევნის "არარატი". მე–3 ადგილისთვის გამართულ მატჩში "პოლონიამ" დაამარცხა "არარატი" ანგარიშით 1:0.

თბილისელთაგან მ. მაჩაიძემ მიიღო საუკეთესო ნახევრმცველისთვის დაწესებული პრიზი, ხოლო დ. ყიფიანმა ჯილდო, როგორც ყველაზე შედეგიანმა თავდამსხმელმა.

ბოლო მატჩში თბილისის "დინამო" აქ ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: სტეფანია, პეტრიაშვილი, ჭელიძე, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე, გავაშელი (მჭედლიშვილი) მ. მაჩაიძე (ჭითაური), ყიფიანი, გუცაევი, ფ. რეხვიაშვილი.

ლელო 25.09.1971 წ.